საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ექიმი“

„ექიმი”, ყოველთვიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი სამედიცინო ჟურნალი. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პირველი გამოცემა ქართულ ენაზე. გამოდიოდა თბილისში 1919 წ. იანვრიდან ივლისის ჩათვლით (სულ გამოიცა 8 ნომერი), იბეჭდებოდა სტამბაში „სორაპანი”. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ს. ვირსალაძე, ვ. მოსეშვილი, გ. მუხაძე, შ. მიქელაძე, ა. ნათიშვილი, პასუხისმგებელი რედაქტორები იყვნენ: ს. ვირსალაძე, შ. მიქელაძე. ჟურნალის მიზანს წარმოადგენდა სამედ. მეცნიერების პოპულარიზაცია. „ე-ში” იბეჭდებოდა ქართვ. პროფესორთა და ექიმთა ნაშრომები მედ. სხვადასხვა დარგიდან.